ხ ე ლ შ ე კ რ უ ლ ე ბ ა

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ N 38

(CPV 22113000 - საბიბლიოთეკო წიგნები)

ქ. ბათუმი 14.02.2017 წელი

ერთი მხრივ სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" (შემდგომში შემსყიდველი), წარმოდგენილი დირექტორის მოადგილის ჯემალ გვეტაძის სახით და მეორე მხრივ შპს „იალონი სტუდიო", საიდენტიფიკაციო კოდი 445418557, მის: ქ.ბათუმი, აღმაშენებლის 30, ბ. 4, მომსახურე ბანკი ს/ს "ტერა ბანკი", ბანკის კოდი: TEBAGE22, ა/ნ GE05KS0000000360202952, წარმოდგენილი მისი დირექტორის ნინო ვაშალომიძის სახით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის საფუძველზე, დებენ წინამდებარე სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

მომწოდებელი ხელშეკრულების გაფორმებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში შემსყიდველს აწვდის წინამდებარე ხელშეკრულების დანართით (ფასების ცხრილით) გათვალისიწნებულ საქონელს (CPV 22113000 - საბიბლიოთეკო წიგნები).

2. ხელშეკრულების ღირებულება

3.1. ხელშეკრულების ღირებულება შეადგენს 135 ლარს.

3.2. ხელშეკრულების ღირებულება მოიცავს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონლის მიწოდებასთან დაკავშირებულ მიმწოდებლის ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს, რომელთა გადახდაზეც პასუხისმგებელია მიმწოდებელი.

3. მიწოდების ვადა და ადგილი მომსახურების მიღება-ჩაბარების წესი

3.1. საქონლის მიღება-ჩაბარებას ახორციელებს ხელშეკრულების შესრულების კონტროლის განმახორციელებელი პირი.

3.2 საქონლის მიღება განხორციელდება, ფაქტიურად მიღებული საქონლის ღირებულებისა და რაოდენობის მითითებით გაფორმებული სასაქონლო ზედნადების საფუძველზე.

3.3. საქონლის მიწოდების ადგილია ქ.ბათუმი მ.აბაშიძის ქ.N41.

4. ანგარიშსწორების ფორმა, წესი და ვადები

4.1. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით ხელშეკრულებით გათვალსწინებულ რეკვიზიტებზე ეროვნულ ვალუტაში.

4.2. ანგარიშსწორება ხორციელდება სასაქონლო ზედნადების შესაბამისად 10 სამუშაო დღის განმავლობაში. მიმწოდებელს პრეტენზია არ უნდა გააჩნდეს აუთვისებელ თანხაზე.

5. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი

5.1. შემსყიდველს უფლება აქვს ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს ხელშეკრულების შესრულების კონტროლი.

5.2. ხელშეკრულების შესრულების კონტროლს ახორციელებენ სსიპ ,,საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს თანამშრომელი მეურნე რიხარდ გიორგაძე.

6. სხვა პირობები

6.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ ხელმოწერის დღიდან.

6.2. მოწოდებული საქონელი უნდა იყოს მაღალი ხარისხის და უნდა შეესაბამებოდეს არსებულ სტანდარტებს.

6.2. ხელშეკრულება ძალაში შედის ხელშეკრულების თავში მითითებული თარიღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 მარტამდე.

6.3. წინამდებარე ხელშეკრულებაზე ხელმოწერით ასევე დასტურდება, რომ შემსყიდველის წარმომადგენელს (ჯემალ გვეტაძე) არ გააჩნია, მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესთა კონფლიქტი მომწოდებელთან.

7. მხარეთა ხელმოწერები

შემსყიდველი	მიმწოდებელი

ფასების ცხრილი		ხელშეკრულება # 38, 14.02.2017				
	დასახელება	CPV	ზომის ერთეული	რაოდენობა	ერთეულის ღირებულება	თანხა
1	ჯეინ ოსტინი - ემა	22113000	ცალი	1	22	22
2	ხალიდ ხოსეინი - ფრანით მორბენალი	22113000	ცალი	1	18	18
3	როჯერ ზელაზნი - სინათლის მეუფე	22113000	ცალი	1	19	19
4	ფილიპ დიკი - ვალისი	22113000	ცალი	1	19	19
5	ლაშა ბუღაძე	22113000	ცალი	1	18	18
6	ნესტან კვინიკაძე - ისპაჰანის ბულბულები	22113000	ცალი	1	19	19
7	ჯემალ ქარჩხაძე - ქარავანი	22113000	ცალი	1	20	20
						135

შემსყიდველი:

სსიპ საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს დირექტორის მოადგილე

ჯემალ გვეტაძე

მიმწოდებელი:

შპს "იალონი სტუდიო" დირექტორი

ნინო ფაშალოიძე